



MES 6 21 0001005129



30/09/2021

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 16/09/2021

სხდომის დაწყების დრო 16:15 სთ

სხდომის დამთავრების დრო 17:38 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი - კახაბერ ფარცვანია

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

**ნუგზარ სხირტლაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;

**არჩილ უშბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

**გიორგი ტრაპაიძე** - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

**კახაბერ ფარცვანია** - შპს „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ მასწავლებელი (სხდომის მდივანი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სხდომაზე დამსწრე პირები

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**სოფიო ქურასბედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ანა ქოიავა** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:**

**ზვიად გაბისონია** - „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ნინო ბერელიძე** - პროგრამული განვითარების მრჩეველი;

**თამარ გვიანიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. სააპელაციო საბჭოს მდივანი არ ესწრებოდა საბჭოს, ამიტომ, ამავე მუხლის შესაბამისად, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაევალა საბჭოს წევრს, კახაბერ ფარცხვანიას.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

**სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

**1. პირველი საკითხი** - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი Digital Governance and Artificial Intelligence
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
4.	კვალიფიკაციის დასახელება, კოდი	საჯარო მმართველობის დოქტორი, 0413
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS სასწავლო კომპონენტი
7.	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	თვითშეფასებით წარმოდგენილი იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის №726549 გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

### ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საჩივრის დასაშვებობის ფორმალური კრიტერიუმები პრობლემას არ იწვევს, შესაბამისად, მსჯელობა უნდა წარიმართოს მატერიალურ, შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით. აღნიშნული საბჭოს ფარგლებში, მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხი, კერძოდ ერთ-ერთი საკითხი ეხება არსებულ ნორმატიულ სინამდვილესთან პროგრამის მიზნის, შინაარსისა და სახელწოდების შესაბამისობას, რამაც განაპირობა პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმა. საბჭოს თავმჯდომარემ, შესთავაზა სხდომის მონაწილეებს, სააპელაციო საკითხის განხილვა დაეწყოთ და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება პროცედურული/ფორმალური საკითხებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა ზვიად გაბისონიამ აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა თავისი შინაარსით უნიკალურია. ეს არის პირველი მცდელობა, რომ ციფრული მმართველობის

საკითხებში გათვალისწინებული იყოს ახალი ტექნოლოგიური ნაწილი და ასევე შეიქმნას პოლიტიკის მწარმოებლების ის მიმართულებები, რასაც დღეს ელექტრონული მმართველობის განვითარება და დანერგვა ჰქვია ქვეყანაში. აღნიშნული ასევე დიდი გამოწვევაა ევროკავშირისთვისაც, შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ საკითხმა აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით განმარტა, რომ დღეს სახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად გამოცხადებული აქვს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განხორციელება, ხოლო მასში ხელოვნური ინტელექტის გარკვეული დოზით წარმოდგენა საშუალებას მოგვცემს, ელექტრონული მმართველობა გახდეს უფრო ეფექტური, როგორც სამთავრობო უწყებების, ასევე სხვადასხვა ინსტიტუციების დონეზე.

პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტად გამოყოფილია ოთხი მიმართულება, სწორედ იმ სეგმენტებში, რაც დღეს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის დანერგვისთვის არის აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ მიმართულებით მკვლევარების დეფიციტია. აქედან გამომდინარე პროგრამის მიხედვით პრიორიტეტებად არის გამოყოფილი იუსტიციის სისტემა, განათლების სისტემა, ჯანდაცვის სისტემა და აგრონომიული, ანუ სასოფლო-სამეურნეო მიმართულება. სანამ დაწესებულება მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ ორიენტაცია გაკეთებულიყო საჯარო მმართველობის დოქტორზე, წარიმართა არაერთი დისკუსია სხვადასხვა სამინისტროებთან და ევროპელ პარტნიორებთან. აკრედიტაციის ექსპერტთა მხრიდან შეფასების განხორციელების დროს, მსგავსი ტიპის ბევრი შეკითხვა არ ყოფილა, საბოლოო ჯამში ექსპერტთა მიერ, ხუთი სტანდარტიდან ოთხი განისაზღვრა როგორ სრულიად შესაბამისი, ხოლო მე-2 სტანდარტი განისაზღვრა, როგორც მეტწილად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან. ძირითადი შეკითხვა მდგომარეობდა იმაში, რომ დაზუსტებულიყო დოქტორანტების მიღების წინაპირობა. მთავარი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ პროგრამის უნიკალურობიდან გამომდინარე, დაწესებულებას სურდა მიღების წინაპირობებში მეტი თავისუფლება მიეცათ დოქტორანტებისთვის. იყო ასევე შეკითხვები სასწავლო კომპონენტის ნაწილში, რომელთან დაკავშირებითაც როგორც პროგრამის ხელმძღვანელი თვლის, რომ სავალდებულო არ იყო საჯარო მმართველობის საკითხების დიდი დოზით გათვალისწინება. ვინაიდან საუბარი არის სადოქტორო საფეხურზე, შესაბამისად, მეტი კონცენტრაცია უნდა იყოს კვლევაზე.

აკრედიტაციის საბჭოზე ძირითადად განიხილებოდა, თუ რამდენად შესაძლებელია პროგრამა გადიოდეს „საჯარო მმართველობის დოქტორის“ მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. გარდა ამისა, საბჭოს ფარგლებში განხილული იყო ისეთი საკითხები, რომლებიც არ საჭიროებდა დიდხანს განხილვას. მაგალითად ნახევარის საათის განმავლობაში დისკუსია მიმდინარეობდა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, რაც არ იყო სწორად ფორმულირებული. სადოქტორო პროგრამისთვის დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული აქვს 10-დე ინსტიტუციასთან, მათი გადაწყვეტილებით, პროგრამაზე დაგეგმილი იყო Polic Maker 5 ადამიანის მიღება. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამა არ არის კომერციული პროგრამა და მთლიანად გათვლილია სახელმწიფო საჯარო სექტორისთვის, რომ პროგრამის დასრულების შემდგომ არსებობდნენ ის პოლიტიკის მწარმოებლები, რომლებიც ქვეყანას დღეს ძალიან სჭირდება.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პირველი სტანდარტი რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან ექსპერტების მიერ განხორციელებული შეფასებით, საბჭომ შეცვალა და შედეგად, დაწესებულებას უარი უთხრა აკრედიტაციაზე. აღნიშნული ინსტიტუციისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან თავად სხდომაზე, ზეპირი მოსმენის მიმდინარეობისას არ არსებობდა მსგავსი დამოკიდებულება. უართან ერთად დაწესებულებამ ასევე მიიღო რეკომენდაციები, მაგალითად ერთ - ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა პროგრამის სახელის ცვლილებას, კერძოდ სახელწოდებაში საჯარო სექტორის დამატება. აღსანიშნავია, ასევე რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მთლიანად იგნორირებულ იქნა დარგის ექსპერტების არა მარტო დასკვნა, რაც მომზადდა აკრედიტაციის

ვიზიტის ფარგლებში, არამედ ყველა უცხოელი პარტნიორისა და სახელმწიფო ინსტიტუციის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მზად არიან პარტნიორობისთვის. აქედან გამომდინარე აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება აცდენილია ექსპერტთა დასკვნებთან. სხდომის მიმდინარეობისას არ ყოფილა მსჯელობა ექსპერტთა იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც თავდაპირველად იქნა განსაზღვრული. შესაბამისად, მიღებული იქნა რადიკალურად ახალი გადაწყვეტილება, რაც გადავიდა სრულ ნეგატივში.

## **დისკუსია**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა, თუ როგორი იყო თანაფარდობა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებთან მიმართებით და სთხოვა ესაუბრათ პერსონალის კვალიფიკაციასთან მიმართებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ საკითხის განხილვის დროს, აკრედიტაციის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში დიდი რაოდენობით არიან ჩართულნი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მფლობელი პირები. რეალურად, დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტებში, კერძოდ, „დანართი 2“-ში დეტალურად იყო მოცემული განმახორციელებლების ვინაობა და სასწავლო კურსები, რომლებთაც ისინი ხელმძღვანელობენ. აღნიშნული დოკუმენტში ყველა პირს უდასტურებოდა შესაბამისის დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის ფლობა. ერთადერთი იყო ინგლისური ენის არჩევითი სასწავლო კურსი, სადაც დოქტორის ხარისხის მქონე პირთან ერთად თანახელმძღვანელი იყო ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ენობრივი კომპეტენცია უდასტურებოდა შესაბამისი სერთიფიკატებით. რაც შეეხება თანაფარდობას სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტებს შორის, კანონმდებლობის მიხედვით, სამეცნიერო კომპონენტის მოცულობა კრედიტებში არ იზომება, აქედან გამდინარე პროგრამის მიხედვით სასწავლო კომპონენტი სრულად შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. სასწავლო კომპონენტი ნებისმიერი სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში არის დამხმარე კომპონენტი, რადგან პროგრამა ძირითადად მოიცავს კვლევას. სასწავლო კომპონენტს მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, თუ ის დოქტორანტს დაეხმარება კვლევის განხორციელებაში. დოქტორანტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები სასწავლო კომპონენტის არჩევითი კურსებიდან. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს, რაც სრულიად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის სასწავლო კომპონენტი კი არ აღემატება 60 კრედიტს. პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობა არის სამი წელი, რაც ასევე შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციისთვის გაუგებარია აკრედიტაციის საბჭოს პოზიცია, რის შედეგადაც პროგრამის შეფასება აკრედიტაციის პირველი და მეორე სტანდარტთან მიმართებით განისაზღვრა როგორც არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას აინტერესებს, თუ რა იყო ის ობიექტური გარემოება, რომლის მიხედვითაც აკრედიტაციის საბჭომ დაადგინა სრული შეუსაბამობა და ის გარემოება, რომ დაწესებულება არამარტო საბაზო დონეზე არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, არამედ არ გააჩნია გაუმჯობესების შესაძლებლობაც. ნებისმიერი გარე შეფასება უნდა იყოს განმავითარებელი, აქედან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია იმის გაგება, აკრედიტაციის საბჭოს მიერ, თუ რა გარემოებები დაედო საფუძვლად სრული შესაბამისობიდან - სრულ შეუსაბამობამდე შეფასების ცვლილებას. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ექსპერტთა დასკვნაში მოცემული იყო მხოლოდ 7 რეკომენდაცია, ხოლო საბჭომ შეიმუშავა 18, რაც ასევე გაუგებარია დაწესებულებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ სააკველაციო საჩივრის მიხედვით, დაწესებულების პირველი პრეტენზია არის ის, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ იგი დეტალურად გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის მასალებს და აღნიშნა, რომ მასში მოცემულია, თუ რა რეკომენდაციები გამოითქვა აკრედიტაციის საბჭოს მიერ, ასევე, გადაწყვეტილებაში მითითებულია ყველა ის ფორმალური რეკვიზიტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და შესაბამისად, დასაბუთება გადმოტანილია ოქმში, სადაც მართალია ყოველი დეტალი არ არის ფორმულირებული, თუმცა ვინ რა პოზიცია გამოთქვა, ვინ რა კითხვა დასვა, ვის რასთან დაკავშირებით ჰქონდა პრეტენზია, რა მოსაზრებები გამოთქვეს ექსპერტებმა, ამასთან დაკავშირებით ოქმში არის მსჯელობა. შესაბამისად, სააპელაციო საბჭოზე დაწესებულებამ დეტალები უნდა აღნიშნოს, თუ რა ნაწილში არ ეთანხმება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. უარის თქმის შემთხვევაშიც აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია გასცეს რჩევები და რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ექსპერტები ახორციელებენ შეფასების პროცესს და ადგენენ დასკვნას, აკრედიტაციის საბჭოს აქვს სრული დისკრეცია, რომ განახორციელოს არა მხოლოდ ექსპერტთა დასკვნაში მითითებული ფაქტებისა და გარემოებების კონტროლი, არამედ განახორციელოს კონტროლის მიღმა გარემოებები, ანუ თავისი ზედამხედველობის ფარგლები არ დაუკავშიროს უშუალოდ ექსპერტთა დასკვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ბერელიძემ განმარტა, რომ სხდომის ოქმში არ არის მოცემული, თუ რატომ განსაზღვრა აკრედიტაციის საბჭომ რეკომენდაციები. მნიშვნელოვანია, რომ კლასიფიკატორი არის სწავლის სფეროების ჩამონათვალი, სადაც ჩამოთვლილია მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებები და პროგრამის აგების სტრუქტურა. შესაბამისად, მოცემულ დოკუმენტს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. კვალიფიკაცია არის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა ჩარჩოს შესაბამისი დონის სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ. აქედან გამომდინარე, დოქტორის ხარისხი ეკუთვნის ადამიანს იმ შემთხვევაში, თუ დაძლევა მე-8 დონის სწავლის შედეგებს. ის, რომ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება და არ აკმაყოფილებს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის საჭირო პირობებს, ოქმში არ წერია და არც არავის უმსჯელია საბჭოს ფარგლებში.

რაც შეეხება სწავლის სფეროს, რომელსაც ადგენს კლასიფიკატორი, ამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭო მიუთითებს, რომ სწავლის შედეგი მოყვანილი უნდა იქნეს კლასიფიკატორთან შესაბამისობაში, რაც არის არასწორი მითითება. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში წერია პროგრამის აგების პრინციპები და მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებები. საბჭოს მიმდინარეობისას და ექსპერტთა დასკვნაში არსად არ არის მსჯელობა, რომ მოცემული პროგრამა არ არის საჯარო მმართველობის. დაწესებულებამ ვერავისგან ვერ მოისმინა დასაბუთება იმისა, თუ რატომ არ არის შესაბამისი საჯარო მმართველობის სწავლის სფერო მოცემული პროგრამის მიზნების, შედეგების და კვალიფიკაციისათვის. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებს აღნიშნული საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებიათ. საჯარო მმართველობის სწავლის სფერო კლასიფიცირებულია საერთაშორისო დონეზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მართვის სფეროში, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის მართვაზე ორიენტირებული. ასევე ამ კლასიფიკატორით მოცემულია, თუ რა არის ინტერდისციპლინური სწავლის სფეროები. მთელ მსოფლიოში IT ტექნოლოგიების გამოყენება მართვაში არის განვითარების მომავალი. პროგრამის მიხედვით კვალიფიკაცია გულისხმობს საჯარო მმართველობის სპეციალისტს, რომელსაც აქვს კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა და რომელმაც უნდა შეძლოს IT ტექნოლოგიების გამოყენებით საჯარო სექტორის ეფექტურად მართვა, ესმის დარგი, შეუძლია სამართლებრივი ანალიზი და შეუძლია თარგმნოს თავის ენაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ციფრულ მმართველობას, რა ლოგიკები უნდა ჩაიდოს თითოეული სტანდარტის ქვეშ. დარგობრივი ცოდნა, საჯარო მმართველობა, სამართლებრივი ანალიზი და IT ტექნოლოგიები ერთნაირად უნდა იყოს განსაზღვრული ამ

პროგრამაში; წამყვანი დარგის პრინციპით, ანუ რა სფეროს ემსახურება, დგება სწავლის შედეგები. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შესაბამისობა არ ყოფილა კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად ჰქონდა კითხვა, საიდან გამომდინარეობს ის ოთხი რეკომენდაცია, რომელიც განსაზღვრული იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ ყველანაირი დასაბუთების გარეშე.

პროგრამის ხელმძღვანელმა ზვიად გაბისონიამ აღნიშნა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციაში მოცემულია, რომ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა ყოფილიყო საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის მქონე პირი, თუმცა კანონმდებლობით მსგავსი მოთხოვნა არსად არ არის, გარდა ამისა, წარმოუდგენელია საჯარო მმართველობის დოქტორმა უხელმძღვანელოს სტუდენტს ჯანდაცვის, განათლებისა თუ იუსტიციის სექტორში. შესაბამისად, დაწესებულება თვლის, რომ დოქტორებისა და ხელმძღვანელობის საკითხიც ასევე სრულიად დაუსაბუთებელი იყო აკრედიტაციის საბჭოს მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ ხელოვნური ინტელექტი არის დამატებითი კომპონენტი ციფრული მმართველობის გამართულად მუშაობის მიზნით. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნური ინტელექტი არის ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგია, რომლის ყველაზე დიდი წარმატება არის ის, რომ აკეთებ ანალიზის სწრაფ ანალიტიკას. შესაბამისად, ძირითადი ნაწილი არის ელექტრონული მმართველობა საჯარო სექტორში, რომელშიც მოიაზრება ხელოვნური ინტელექტის კომპონენტი. სწორედ ამიტომ იქნა აღნიშნული განსაზღვრული პროგრამის სახელწოდებაშიც, რადგან გამოკვეთილად ანალიტიკური ნაწილი დამოკიდებული იყოს არა ჩვეულებრივ Soft პროგრამებზე, არამედ, ხელოვნური ინტელექტის მძლავრ პროგრამებზე, რომლის საშუალებაც საქართველოში დღეს რამდენიმე სემინტს აქვს. შესაბამისად, დაწესებულებამ მხოლოდ ის ოთხი პრიორიტეტი გადმოიტანა პირველ ეტაპზე, რომლის საშუალებაც აქვს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ უფიქრია დაწესებულებას სხვა კვალიფიკაციაზე, მაგალითად შეერჩიათ არაკლასიფიცირებული სწავლის სფერო ინფორმატიკის მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში არ არის საუბარი IT სპეციალისტზე, შინაარსიდან გამომდინარე არც არის საჭირო და დაწესებულება მათ ვერც აიყვანს. მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში სერიოზული დეფიციტია პოლიტიკის გამტარებლების, რომლებსაც კვლევის უნარი აქვთ. IT სპეციალობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საჯარო სექტორში კონკრეტული ნაწილის სტრატეგია დაინერგოს, მათ შორის გაციფრულება, რასაც წინ უნდა უძღოდეს საჯარო მმართველობის ელემენტები.

17:04 საათზე სხდომაზე გამოცხადდა საათობირო შესვენება.

სხდომა განახლდა 17: 36 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 1;

წინააღმდეგი - 5.


### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო საბჭოს მერ მიღებული გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ხმათა უმრავლესობით, სააპელაციო საბჭო იზიარებდა აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უარის თქმის შესახებ.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 16 სექტემბერს 17:38 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
სხდომის მდივანი  
ფარცვანია კახაბერ

